სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

მუშურ-გლეხური წითელი არმიის

# მებრძოლი

ამიერკავკასიის ფრონტის წითელარმიული გაზეთი
Красноармейская газета Закавказского фронта „Боец РККА" на грузинском языке

№ 62 (176) | პარასკევი, 16 ივნისი | 1944 წ.

## რიგითი მებრძოლის კუპრიაშვილის ფეხსაცმლის სახელოსნო

კაპიტან მეველის ბატალიონის მებრძოლები და მეთაურები პატივისცემით იხსენიებენ ფეხსაცმლის იმ სახელოსნოს, რომელსაც ხელმძღვანელობს უფროსი სერჟანტი, რიგითი მებრძოლი კუპრიაშვილი. ეს პატივისცემა სახელოსნოს მუშებმა საქმით დაიმსახურეს. ისინი ნამდვილად კარგად მუშაობენ. მათი პროდუქცია ყოველთვის მაღალხარისხოვანია. ბატალიონში თქვენ ვერ გაიგონებთ საყვედურსა და უკმაყოფილებას სახელოსნოს მიმართ. პირიქით, მებრძოლები ამბობენ:

— ჩვენი ფეხსაცმლის მკერავები ოსტატები არიან! მათი წყალობით ჩვენ არ ვიცით შეფერხება [illegible].

და მართლაც, ფეხსაცმლის ოსტატები გულმოდგინედ და კეთილსინდისიერად მუშაობენ. ისინი თავიანთი მუშაობით ხელს უწყობენ ბატალიონის ნაწილების საბრძოლო მომზადებაში. აქ არც ზამთარში და არც ზაფხულში არა ყოფილა შემთხვევა, რომ ფეხსაცმლის შეუკეთებლობის გამო მეცადინეობას დაკლებოდეს თუნდ ერთი მებრძოლი.

და მართლაც, ფეხსაცმლის მკერავებს კარგად ესმით, რომ მათი სპეციალობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჯარის ორგანიზმის ცხოვრებაში. ბატალიონის სახელოსნოს საუკეთესო ოსტატი ფრონტელი ქალიშვილი შურაჩენკო გვიამბობს, რომ გასულ წელს [illegible] რაიონში შეტევის დაწყების წინ მას ორი დღე-ღამე არ მოუსვენია და ამ ხნის განმავლობაში შეაკეთა 27 წყვილი ფეხსაცმელი. „და თუმცა მე უშუალოდ არ მივიღე მონაწილეობა ბრძოლებში, — ამბობს შურაჩენკო, — მაგრამ ვგრძნობდი, რომ ჩვენი მებრძოლების წარმატებაში ჩემი შრომის ნაწილიც იყო".

ასევე კარგად მუშაობს შურაჩენკო ახლაც. მუშაობს რა ფრონტული მეთოდით, მან მაისში შეაკეთა 175 წყვილი ფეხსაცმელი, ხოლო ზამთარში და გაზაფხულზე მის ხელში ათას წყვილზე მეტმა ფეხსაცმელმა გაიარა. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ ფეხსაცმლის მკერავს არ ჰქონია წუნის არც ერთი შემთხვევა. შურაჩენკოს მიერ გაკეთებული ლანჩა დიდ ხანს ძლებს, ხმარების პროცესში შეიძლება იგი პაპიროსის ქაღალდივით გათხელდეს, მაგრამ ფეხსაცმელს არ მოძვრება. ლანჩის გამოკერვების დროს ამხ. შურაჩენკო, გარდა სარჭისა, ხმარობს [illegible] ძაფსაც.

ასევე მუშაობენ დანარჩენი ოსტატებიც. მათი ნაყოფიერი მუშაობის შედეგად სახელოსნომ მაისის დავალება შეასრულა 250 პროცენტით. ბატალიონში შექმნილია გამოცვლილი ფონდი, რომელშიც არის 200 წყვილზე მეტი ფეხსაცმელი. გარდა ამისა, აქ ყველა ოფიცერს გადაუკეთეს ფეხსაცმელი. სახელოსნო უზრუნველყოფილია წლის ბოლომდე საჭირო შესაკეთებელი მასალით და ინსტრუმენტებით. ამისთვის იზრუნეს ბატალიონის მეთაურის თანაშემწემ მატერიალურ უზრუნველყოფის ნაწილში ამხ. თავზარაძემ და ზემდეგმა [illegible].

იმისათვის, რომ გაახანგრძლივონ ფეხსაცმლის ხმარების ვადა, რიგითი მებრძოლი კუპრიაშვილის ფეხსაცმლის ოსტატები ყველაფერს აკეთებენ, რაც კი დამოკიდებულია მათზე. ისინი ხშირად საუბრობენ ახალგაზრდა მებრძოლებთან იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოუარონ ფეხსაცმელს, როგორ გაწმინდონ და წაუსვან საცხი, [illegible] დროის შემოწმებას და ასეულების ზემდეგებთან ერთად ამოწმებენ სჭირდება თუ არა შეკეთება მებრძოლთა ფეხსაცმლებს.

სახელოსნოს საუკეთესო მუშაობა უნდა აიხსნას არა მარტო იმით, რომ ფეხსაცმლის მკერავები [illegible] ასრულებენ თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობას, არამედ შრომის ზუსტი ორგანიზაციითაც.

სახელოსნოში ყველა პირობა შექმნილია მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის. ფეხსაცმლის ყოველ მკერავს აქვს თავისი დაზგა და ინსტრუმენტი. ამხ. კუპრიაშვილი ყოველდღიურად აძლევს დავალებას ოსტატებს, ხოლო საღამოს ამოწმებს მის შესრულებას.

მებრძოლზე მამობრივი ზრუნვა — ყველა სამეურნეო მუშაკის მოვალეობაა. ამის მაგალითს იძლევიან რიგითი მებრძოლის კუპრიაშვილის ფეხსაცმლის სახელოსნოს ოსტატები. ამიტომ არაა გასაკვირი, თუ ეს სახელოსნო საუკეთესოა არა მარტო თავის ნაწილში, არამედ მთელს შენაერთში. ის მართლაც სანიმუშოდ მუშაობს, როგორც ეს შეეფერება სამხედრო სახელოსნოს. აქ შეიძლება და უნდა იმუშაონ კიდევაც ჩვენი ფრონტის ნაწილებისა და შენაერთების ყველა სახელოსნოში.

## საბჭოთა კავშირის გმირი მარია შჩერბაჩენკო

სამამულო ომამდე ზემდეგი მარია შჩერბაჩენკო მუშაობდა ხარკოვის ოლქის ხუტორ ნედდანოვკის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობაში.

როდესაც ჩვენს ქვეყანას მუხანათურად თავს დაესხნენ გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები, ამხ. შჩერბაჩენკომ წითელ არმიაში სამსახური არჩია.

ფრონტზე სარდლობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის ამხ. შჩერბაჩენკომ ბევრჯერ დაიმსახურა მადლობა. მან განსაკუთრებით ისახელა თავი დნეპრის გადალახვისათვის ბრძოლებში.

მთავრობამ სათანადოდ აღნიშნა ამხ. შჩერბაჩენკოს ღვაწლი სამშობლოს წინაშე. მას მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

## საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

### 15 ივნისის ოპერატიული ცნობიდან

კარელიის ყელზე ლენინგრადის ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევის განვითარებას განაგრძობდნენ, მუსტამიაკი-კუტერსელკიას რაიონში გაარღვიეს ფინელთა მეორე ძლიერ გამაგრებული ხანგრძლივი თავდაცვითი ზოლი. 15 ივნისის განმავლობაში ფრონტის ჯარებმა დაიკავეს მოწინააღმდეგის თავდაცვის ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტები მუსტამიაკი, კანელიარვი, სიუკიალია, ნეუვოლა, ვამელიარვი, რასხატუ, მიატსიაკიულია, ლაუტარანტა, ფორტი ინო, ინოკიულია, მარტილანმიაკი, ხიიკანიემი, სირკიანსაარი, ლეპიასენმიაკი, ტროიცკოე, რისტოლოვო, მალოე, კაიდალოვო და რკინიგზის სადგურები მუსტამიაკი და ინო.

ექვსი დღის შეტევითი ბრძოლების შედეგად ლენინგრადის ფრონტის ჯარებმა გაარღვიეს ფინელთა ორი ძლიერ გამაგრებული ხანგრძლივი თავდაცვითი ზოლი, წინ წაიწიეს 40 კილომეტრამდე, გააფართოვეს რა გარღვევა 75 კილომეტრამდე ფრონტით. მოწინააღმდეგის პირველი და მეორე თავდაცვითი ზოლების გარღვევის მსვლელობაში ფრონტის ჯარებმა მოსპეს და ხელთ იგდეს 500-ზე მეტი ხანგრძლივი თავდაცვითი ნაგებობა. გადალახეს ტანკსაწინააღმდეგო და ქვეითი ჯარის საწინააღმდეგო დაბრკოლების (სკარპები, თხრილები, ხოძკონტები) სამი მძლავრი ზოლი და ღრმად ეშელონირებული ნაღმიანი ველები. მოწინააღმდეგის მეორე თავდაცვითი ზოლის წინააღმდეგობის მარტო 8 კვანძში მუსტამიაკში, კუტერსელკიაში, სახა-კიულიაში ხელთ იგდეს 50-ზე მეტი რკინა-ბეტონისა და ჯავშნიანი საარტილერიო და სატყვიამფრქვევო ნაგებობა.

წინასწარი ცნობებით, ხუთი დღის შეტევითი ბრძოლების განმავლობაში, 10-დან 14 ივნისამდე, ფრონტის ჯარებმა ხელთ იგდეს შემდეგი ტროფეები: 205 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 180 ნაღმსატყორცნი, 400 ტყვიამფრქვევი. გარდა ამისა, მოსპობილია 200-ზე მეტი სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი და 450-ზე მეტი ტყვიამფრქვევი. მოწინააღმდეგეს უდიდესი ზარალი მოუვიდა ცოცხალი ძალის მხრივ.

ფრონტის სხვა უბნებზე ცვლილება არ მომხდარა.

14 ივნისის განმავლობაში ყველა ფრონტზე საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 12 თვითმფრინავი.

* * *

### ჩვენმა ავიაციამ დაბომბა მოწინააღმდეგის აეროდრომები

14 ივნისის ღამით ჩვენი თვითმფრინავების ავიაცია განაგრძობდა მასობრივ დარტყმებს მტრის აეროდრომების წინააღმდეგ. დაბომბილ იქნა გერმანელთა აეროდრომები ბელოსტოკის, ბარანოვიჩის, ლუნინეცის რაიონებში. დაბომბვის შედეგად დიდი ხანძრები გაჩნდა, რომლებსაც თან ახლდა აფეთქებანი. იწვოდა გერმანელთა თვითმფრინავები და საწყობები საწვავით.

ჩვენი 3 თვითმფრინავი თავის ბაზებში არ დაბრუნებულა.

* *

კარელიის ყელზე ჩვენმა ჯარებმა მუსტამიაკი-კუტერსელკიას რაიონში გაარღვიეს ფინელთა თავდაცვის მეორე ძლიერ გამაგრებული ზოლი, რომელიც აღჭურვილი იყო [illegible] ხანგრძლივი ნაგებობებით. ნ შენაერთის ნაწილებმა მარტო ერთი მცირე დასახლებული პუნქტისათვის ბრძოლებში გაანადგურეს ფინელთა ერთ ბატალიონზე მეტი ქვეითი ჯარი. წამოყვანილია მრავალი ტყვე.

წითელი არმიის მებრძოლები და ოფიცრები კარელიის ყელზე ბრძოლებში მამაცობისა და გმირობის მაგალითებს გვიჩვენებენ. [illegible] გვარდიელმა გვარდიის ზემდეგ დუბნოვის მეთაურობით მაღლობზე ბატარეა შეამჩნია, რომელიც ჩვენს საბრძოლო წყობებს უშენდა. გვარდიელები ზურგში მოექცნენ მოწინააღმდეგეს და უეცრად დაესხნენ თავს ფინელ არტილერისტებს. ჩვენმა მებრძოლებმა ავტომატების ცეცხლით და გრანატებით გაანადგურეს რამდენიმე ათეული ფინელი და ხელთ იგდეს 4 ქვემეხი, [illegible] და [illegible]. გვარდიის მეტყვიამფრქვევეებმა რიგით[illegible]მა [illegible] და [illegible] ფინელი [illegible], ხოლო სამი ფინელი ტყვედ წამოიყვანა. ტანკისტმა უფროსმა ლეიტენანტმა სტრიჟენკოვმა მოსპო ფინელთა 2 ძელფიცრული საცეცხლე წერტილი, 4 სატყვიამფრქვეო წერტილი და გაანადგურა მოწინააღმდეგის ერთ ოცეულზე მეტი ჯარისკაცი. მესანგრე ზემდეგმა [illegible] ორი დღის განმავლობაში გაუვნებელყო ათასზე მეტი ნაღმი.

ჩვენი ავიაცია, რომელიც ხელს უწყობდა ლენინგრადის ფრონტის ჯარების შეტევას, მასობრივად უტევდა ფინელთა თავდაცვით ნაგებობებს, საარტილერიო პოზიციებს და კომუნიკაციებს. დღის განმავლობაში ჩვენმა მფრინავებმა დაბომბეს რკინიგზის ეშელონი, დაანგრიეს [illegible] ძელფიცრული საცეცხლე წერტილი, მოსპეს 60-მდე ავტომანქანა და ჩააჩუმეს მოწინააღმდეგის 24 საარტილერიო და სანაღმსატყორცნო ბატარეა.

## გვარდიის გენერალ-მაიორ მ. ზ. მიქელაძის დაჯილდოება

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე საბრძოლო ოპერაციების უნარიანი და მამაცური ხელმძღვანელობისათვის და ამ ოპერაციების შედეგად მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით გვარდიის გენერალ-მაიორი **მიხეილ გერასიმეს-ძე მიქელაძე** დაჯილდოებულია **ბოგდან ხმელნიცკის** II ხარისხის ორდენით.

## ღამით ფრენის ოსტატი

ნაწილი „სტალინსკი სოკოლი" [illegible] უფროს ლეიტენანტ მაღრაძის სახელზე [illegible]. მაღრაძე ღამით გაფრინდა დავალების შესასრულებლად. ბრძოლაში იგი [illegible], ხოლო მისი თვითმფრინავი დაზიანდა, მაგრამ მაღრაძემ დასძლია ტკივილი და [illegible] დაბრუნდა თავის აეროდრომზე. [illegible] რომ [illegible], მაღრაძემ განაცხადა, რომ კვლავ წავა საბრძოლო დავალების შესასრულებლად. ტექნიკოსებმა და მექანიკოსებმა სწრაფად აღადგინეს მანქანა და შეაკეთეს თვითმფრინავი. იმ ღამით უფროსმა ლეიტენანტმა მაღრაძემ კიდევ ორი გაფრენა მოახდინა, რომლებიც დროს ანადგურებდა მტრის ცოცხალ ძალას და ტექნიკას.

## საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ოფიცერთა და სერჟანტთა შემადგენლობას

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ამა წლის 31 მაისის ბრძანებულებით სამხედრო-საზღვაო ფლოტის ოფიცერთა და სერჟანტთა შემადგენლობის ჯგუფს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადაეცა **ლენინის ორდენი** და მედალი **„ოქროს ვარსკვლავი"**.

სულ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა 19 ოფიცერსა და სერჟანტს.

(საქტასი)

# გვარდიის სკოლა

კურსს ხელმძღვანელობს გვარდიის გენერალ-ლეიტენანტი
ს. პ. ივანოვი

# როგორ შევიპყროთ „მოენე" და მოვიყვანოთ იგი ნაწილში

„მოენის" შეპყრობა უაღრესად რთული ამოცანაა. მისი შესრულება მზვერავისაგან მოითხოვს მოქმედებისათვის ყოველმხრივ მომზადებას. ვიდრე წავიდოდე ამოცანის შესასრულებლად, საჭიროა შეირჩეს მოძრაობის მარშრუტი რუკაზე და ადგილობრივ დეტალურად შეისწავლოს იგი.

ობიექტისაკენ მარშრუტი უნდა შეირჩეს ადგილზე მოკლე და კარგად დაფარული, ღამით კი მას უნდა ჰქონდეს შორიდან დასანახავი ორიენტირები (ცალკეული დასახლებული პუნქტი, ნაგებობანი, თხრილები, გზები, მიწაყრილი, ტყისპირი და ა. შ.). გაითვალისწინე, რომ გზაზე არ შეგხვდეს ძნელად გადასალახავი დაბრკოლებები (ღრმა თხრილები, კლდოვანი ნაპრალები და [illegible], გაუვალი ჭაობები), გახსოვდეს, რომ მოწინააღმდეგე ცდილობს ფარულად გასასვლელი ადგილები გახადოს მიუვალი, აწყობს რა მასზე სხვადასხვა „სიურპრიზებს", დანაღმულ ველებს და ა. შ. შეარჩიე ისეთი მარშრუტი, რომლითაც შესაძლებელი იქნება შეუმჩნევლად მიუახლოვდე ობიექტს.

მოძრაობის დროს [illegible] უნდა ჩაითვალოს სინათლის [illegible], რომელიც შეეფერება წლის დროსა და ადგილმდებარეობას. ობიექტთან მიახლოვებისას საჭიროა სრული სიჩუმის დაცვა, რომ შენი მოძრაობით არ [illegible] [illegible] რადგან ამასაც შეუძლია მოწინააღმდეგეში აღძრას ეჭვები.

კარგად შეისწავლე ორიენტირის მიხედვით საჭიროა ზუსტად განსაზღვრო მოძრაობის ხაზი, გაზომე მანძილი ობიექტამდე. დასახე მოძრაობის წესი (სად და როგორ იმოძრაო მთელი ტანით, დახრილად, ხოხვით). ობიექტამდე უშუალოდ მისვლისათვის უნდა გაირკვეს ზუსტად მიდგომა, ხშირ ბალახში და ქვებზე მოძრაობის მეთოდი, [illegible] რომ ლოდების [illegible] ხმაური არ იწვევს. ობიექტთან უნდა მიხვიდე იმ მხრიდან, საიდანაც ქარი უბერავს, რათა ქარს მოწინააღმდეგისაკენ არ მიჰქონდეს ხმაური. შეპყრობის ობიექტთან მიახლოვება საჭიროა ან ზურგიდან ან გვერდიდან იმ ანგარიშით, რომ შექმნა უფრო მოსახერხებელი მდგომარეობა თავდასხმისათვის. ამასთანავე უნდა გახსოვდეს, რომ, რაც უფრო ახლოს მიხვალ ობიექტთან შეუმჩნევლად, მით უფრო ადვილი იქნება თავდასხმის განხორციელება და „მოენის" შეპყრობა.

ა ნაწილის მზვერავებს დაევალათ შეეპყროთ მოწინავე ხაზზე „მოენე" 2017 სიმაღლის რაიონში. მზვერავები უშუალოდ მიუახლოვდნენ ობიექტს, ხელთ იგდეს „მოენე" და დოკუმენტები. მზვერავები ვერ შეამჩნია გერმანელთა ჯგუფმა, რომელიც იმყოფებოდა შეპყრობის ადგილიდან 25-30 მეტრის დაშორებით, და მიუხედავად ბრძოლის [illegible] [illegible] შემთხვევებისა, რომელნიც მიგვითითებენ, რომ, როცა მზვერავები არ იცავენ ხმის შენიღბვის წესებს, მათ აღმოაჩენს მოწინააღმდეგე და იძულებული ხდებიან უკან წამოვიდნენ. მაგალითად, მზვერავთა ერთი ჯგუფი, რომელმაც წარმატებით გადალახა ნეიტრალური ზონა, წინაკიდესთან წააწყდა მავთულხლართს, რომელზედაც ჩამოკიდებული იყო კონსერვის ქილები. მავთულის გაჭრის დროს დაწკრიალებულმა ქილებმა გამოიწვია ხმაური. მოწინააღმდეგემ დაუშინა ცეცხლი. მზვერავები იძულებული შეიქნენ ამოცანის შეუსრულებლად უკან გამობრუნებულიყვნენ.

„მოენის" შეპყრობის წესები სხვადასხვაგვარია. ყოველთვის უნდა იმოქმედო ვითარების მიხედვით. მაგრამ მზვერავმა უნდა იცოდეს ელემენტარული წესები, რომლის გარეშე თითქმის შეუძლებელია „მოენის" შეპყრობა.

ობიექტზე თავდასხმა აწარმოე ზურგიდან ან გვერდიდან, სწრაფად და „ურას" ყვირილის გარეშე, დაიცავი სიჩუმე, რომ არ მიიპყრო მეზობელი საგუშაგოებისა და საცეცხლე წერტილების ყურადღება. თავდასხმისათვის დროის შერჩევა საჭიროა გათენების წინ, როცა მოწინააღმდეგის სიფხიზლე მოდუნებულია.

მზვერავებს უნდა ახსოვდეთ, რომ შეპყრობის დროს გერმანელები ხმამაღლა ჰყვირიან. ტყვე ჯარისკაცთა ყვირილის მიხედვით გერმანელები უშვებენ ცეცხლს და ამით ზარალს აყენებენ მზვერავებს. ამიტომ საჭიროა სიფრთხილისათვის წინასწარ მიიღო საჭირო ზომები.

რაც უფრო მეტია სიმამაცე, ეშმაკობა, გამბედაობა შეპყრობის დროს, მით უფრო მეტია წარმატების შესაძლებლობა. ამის შესახებ ლაპარაკობს მრავალი მაგალითი საბრძოლო პრაქტიკიდან.

ნ დივიზიის მზვერავთა პარტიამ ბოტვინკოს ხელმძღვანელობით უშუალოდ — გაიარა ერთმანეთისაგან 40 მეტრით დაშორებულ ორ საცეცხლე წერტილს შორის არსებული წინააღმდეგობა. მზვერავებმა შენიშნეს გუშაგი. ამხ. ბოტვინკო მთელი ტანით ადგა და წავიდა მისკენ. გუშაგმა დაიყვირა. [illegible] ამის პასუხად ბოტვინკომ რამოდენიმე სიტყვა ჩაილაპარაკა რუსულად თუ გერმანულად. გუშაგი ძირს დაუშვა [illegible]. მიუახლოვდა რა გუშაგს, ამხ. ბოტვინკომ ხის პისტოლეტი მიაბჯინა. ძლიერ შეშინებულმა გუშაგმა შაშხანა ხელიდან გააგდო და სრული [illegible] ტყვედ იქნა წამოყვანილი.

მეორე მაგალითი. მზვერავთა ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ამხ. [illegible], მიხოხდა მიწურთან, რომელშიაც გუშაგი იჯდა. ჩქარა მიწურიდან გამოვიდა ოფიცერი. მზვერავები ეცნენ ოფიცერსა და ჯარისკაცს. მთელი შეტაკების შედეგად ოფიცერი და ჯარისკაცი ტყვედ იქნა წამოყვანილი.

მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როცა მზვერავებს საჭირო მომენტში არა ჰყოფნით გამბედაობა და შეუპოვრობა. ამის მიზეზით ამოცანის შეუსრულებლობისაკენ. ასე, მაგალითად, მზვერავებმა, ამხ. [illegible] ხელმძღვანელობით შეხვდნენ რა გერმანელს, რომელიც საგუშაგოების შესამოწმებლად მიდიოდა, ვერ შეიპყრეს იგი. სოფელ [illegible] ბაღებში მზვერავები პირისპირ შეხვდნენ გერმანელ ოფიცერს, მაგრამ არავითარი ზომა არ მიიღეს მის შესაპყრობად და დატოვეს იგი — ოფიცერმა მზვერავებს ბრძანების გარეშე ჩააყარა გრანატები ბლინდაჟებში, და ვერ შეიპყრეს რა ოფიცერი, უკან გამობრუნდნენ დანაკარგით.

„მოენის" შეპყრობა, როგორც მზვერავები ამბობენ, ერთი მთლიანი ნაბიჯის საქმეა. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ტყვე გამოიყვანო მოწინავე რაიონიდან და მიიყვანო ჩვენს ნაწილში.

როგორც კი ხელთ იგდებ „მოენეს", უკან უნდა წამოიყვანო დაუყოვნებლივ, ფრთხილად, [illegible], არ დაუშვა ხმაურობა და [illegible]. მოწინააღმდეგეს, რომელიც ცდილობს ხელიდან გამოგტაცოს ტყვე, წინააღმდეგობა უნდა გაუწიო ცეცხლით, ხელის გრანატებით და ხიშტით. ყვირილისა და ხმაურის თავიდან აცილებისათვის საჭიროა ტყვეს შეუკრა და პირი დაუცო ჩვრით. ამ საშუალებათა დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში რომ შეიპყრო ტყვე, შეიძლება ნაწილში დაბრუნდე ამოცანის შეუსრულებლად. ასე, მაგალითად, ერთმა ჯგუფმა შეიპყრო ოფიცერი და უკან წამოიყვანდა „მოენეს". მაგრამ მზვერავებს დაავიწყდათ პირი დაეცოთ ოფიცრისათვის, ბლინდაჟიდან გამოსვლის დროს მან ასტეხა ყვირილი და დაიწყო წინააღმდეგობის გაწევა. მოწინააღმდეგემ დაუშინა ცეცხლი და სცადა კონტრიერიში. მზვერავები იძულებული შეიქნენ დაეხვრიტათ ოფიცერი და უკან დაბრუნებულიყვნენ ამოცანის შეუსრულებლად.

მეორე დასახასიათებელი მაგალითი. ორი მზვერავიდან ერთი მიდიოდა ტყვის წინ, მეორე უკან, მაგრამ ისინი ერთმანეთთან ახლო მანძილზე იყვნენ. მდინარეზე გადასვლის დროს, ვიწრო ბოგაზე ტყვემ, აირჩია რა ხელსაყრელი მომენტი, მზვერავებს ხელი ჰკრა და წყალში გადაიჭრა, თვითონ კი მიიმალა. მზვერავები არასწორად მოქმედებდნენ. უკეთესი იყო, რომ ერთი მზვერავი დარჩენილიყო ტყვესთან მდინარის ნაპირზე, ხოლო მეორე გადასულიყო მოპირდაპირე ნაპირზე, მომზადებულიყო ბრძოლისათვის და დაეცვა ვიდრე ტყვე გადავიდოდა რიყეზე.

[illegible] ფრონტზე მზვერავები სხვადასხვა ხერხებითა და მეთოდებით [illegible] ტყვეებს: [illegible], [illegible] და ა. შ.

ჩვენი ფრონტის ნაწილებსა და ქვედანაყოფებში მზვერავებს სჭირდებათ დაუღალავად სრულყონ თავიანთი ოსტატობა [illegible] საფუძველზე, კონკრეტული ვითარების მიხედვით, უნდა გამოიყენონ „მოენის" შეპყრობის სხვადასხვა წესები და მეთოდები. რაც უფრო მეტ ეშმაკობასა და მოხერხებულობას გამოიჩენენ მზვერავები სწავლების დროს, მით უფრო იოლად მოემზადებიან ისინი საბრძოლო მოქმედებისათვის გერმანელების ტყვედ შესაპყრობად.

**კაპიტანი ა. მაკაროვი**

---

მიქელ პატარიძე

# ჩვეულების დაბადება

წინათ პირველ სადღეგრძელოდ
იყო [illegible],
[illegible] სადღეგრძელო
და ვაჟკაცის ხალისი.
ვინ დარჩება მაგიდასთან,
რომ არა სთქვას დიდება!
[illegible] მორიდებით
[illegible] ქართველთა.

* * *

ბრძოლება ბევრი იყო,
ბევრი დღესაც გვახსოვს
შორეული წარსულიდან
ის [illegible] ხატებს,
[illegible] სიყვარულის, [illegible]
და სიცოცხლის [illegible].

* * *

[illegible] წაიღებდა
თან ყრმა მუზა ნიადაგს,
გზაში, სტუმრად, ბრძოლის ველზე
იგონებდა ნიადაგ
სამშობლოს და ამხანაგებს
თავის გმირ-ნიადაგს.

* * *

[illegible], როგორც [illegible],
თრიალეთის შრეები,
[illegible] არის ჩვეულება,
ვაჟკაცური ჩვევები:
მტერს თუ შეხვდი არ [illegible]
[illegible] შეები.

* * *

თუ ჩამქრალი [illegible] [illegible]
[illegible] [illegible] [illegible].

მებრძოლებმა ბრძოლის ველზე
თუ ტყვეები გამოგვყვა,
ქართველი ხარ [illegible]
და [illegible] თავს [illegible].

* * *

ახლა ახალ ჩვეულებას
დროთა [illegible] [illegible],
პირველ აზრად, პირველ სიტყვად
მოვა თავის თავადა,
ათასი წლის შემდეგ იტყვის,
ვით დღეს ამბობს თამადა:

* * *

ხალხთა ბელადს გაუმარჯოს
და დიდება მარადის,
წითელ ლაშქრის [illegible] [illegible]
მტერს რომ [illegible] [illegible],
სამშობლოს რომ [illegible]
თავზე ვით მეზარადი.

* * *

ასე არის და იქნება
ათასი წლის შემდეგაც,
როცა [illegible] [illegible]
[illegible] [illegible],
[illegible] [illegible] [illegible]
ჩვენი ბრძოლის მზეებმა.

* * *

ხალხმა [illegible] ეს [illegible] და
[illegible] დაიმკვიდრა [illegible],
[illegible] [illegible] [illegible] და [illegible]
შექმნა [illegible] [illegible],
რომ [illegible] [illegible]
[illegible], [illegible] [illegible].

---

# ხანგრძლივი ძელმიწური საცეცხლე წერტის ბლოკირება ღამით

უფროს ლეიტენანტ ოლგანოვის ქვედანაყოფის კურსანტებთან ჩატარებული იქნა საინტერესო ტაქტიკური მეცადინეობა თემაზე „მოიერიშე ჯგუფის მიერ ხანგრძლივი ძელმიწური საცეცხლე წერტის ბლოკირება ღამით".

უფროსმა ლეიტენანტმა ტკაჩოვმა კურსანტებს გააცნო ვითარება. კურსანტებმა მოამზადეს ღამით ტყვიამფრქვევის სროლისათვის საჭირო მონაცემები.

მოიერიშე ჯგუფს მეთაურობდა ლეიტენანტი კიმწყურაშვილი. მეტყვიამფრქვევეთა ოცეულის მეთაურად დანიშნულ იქნა უფროსი სერჟანტი კაზანჩიანი.

კურსანტები მოემზადნენ მოქმედებისათვის და ნიშანს ელოდნენ. სიბნელის დაწყებისთანავე ნიშანი მიცემული იქნა. მოიერიშე ჯგუფი შეტევაზე გადავიდა. კურსანტები [illegible] და [illegible], რომლებმაც ისარგებლეს რა სიბნელით, მიუახლოვდნენ ხანგრძლივ ძელმიწურ საცეცხლე წერტს და ააფეთქეს იგი. უფროსმა სერჟანტმა კაზარიანმა კი ოცეულის ტყვიამფრქვევის ცეცხლი მიმართა „მოწინააღმდეგის" ცოცხალი ძალისაკენ, რითაც მოიერიშე ჯგუფს საშუალება მისცა წარმატებით განეხორციელებინა ხანგრძლივი ძელმიწური საცეცხლე წერტის იერიში და გამაგრებულიყო მიღწეულ ზღუდეზე.

**კურსანტი ს. აკოპიანი.**

# მოწინავე სერჟანტები

ბუაძე და ალაპიშვილი გამოირჩევიან საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების მაღალი მაჩვენებლებით. ისინი კავკასიის მთიანეთის დაცვის მონაწილენი არიან. ოსტატი მეტყვიამფრქვევეების თავზარდამცემ ცეცხლს არა ერთხელ გაუჟლეტია კავკასიის ხეობებში იერიშზე მომავალი ფაშისტი ყაჩაღები. არასოდეს უმტყუნია მათთვის ტყვიამფრქვევს ბრძოლაში. ისინი ამ მრისხანე იარაღს საუცხოოდ ფლობენ. ტყვიამფრქვევიც გაჭირვების ჟამს შველოდა ქართველ თანამოძმეებს. საბრძოლო იარაღისადმი სიყვარული კავკასიის ფრონტმა მათში ღრმად დანერგა.

საფრონტო გამოცდილებას ამხ. ბუაძე და ალაპიშვილი ამჟამად მოხერხებულად იყენებენ ახალგაზრდა მებრძოლების აღზრდის საქმეში. ისინი ყოველდღიურ მეცადინეობას აწყობენ საფრონტო სინამდვილესთან მიახლოვებულ პირობებში. ასწავლიან ახალგაზრდა მებრძოლებს ამოცანის დამოუკიდებლად გადაწყვეტას.

დაუღალავი მუშაობის შედეგად მათ ათეულებს ქვედანაყოფში პირველი ადგილი უჭირავთ. საზაფხულო პერიოდის სწავლებასთან დაკავშირებით ქვედანაყოფი ამ დღეებში მეცადინეობებს ჩაატარებს მთაგორიან ადგილმდებარეობაში. სერჟანტებს აქვთ ასეთ ადგილმდებარეობაში მოქმედების მდიდარი გამოცდილება. ამ მეცადინეობისათვის ისინი გულმოდგინედ ემზადებიან.

**რიგითი მებრძოლი ი. ნაჭყებია.**

ლეიტენანტი ი. ლიახოვი (მარჯვნივ) ამეცადინებს მეტყვიამფრქვევეებს ცეცხლის დაშენაში.

# წალეკილი დღიური

ლ. გოთუა

* *

[illegible]

* * *

[illegible]

* * *

[illegible]

* * *

[illegible]

* * *

[illegible]

* * *

[illegible]

# საზღვარგარეთ

## მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის დილის ცნობა

**ლონდონი**, 15 ივნისი (საქტაგი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის კომუნიკეში, რომელიც დღეს დილით გამოქვეყნდა, ნათქვამია:

„მოკავშირეთა ჯარები განაგრძობენ ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ ფრონტის ყველა უბანზე. ყველაზე გაძლიერებული ბრძოლები [illegible] კარანტანის, მონტებურის და [illegible] სექტორებში. ამერიკელთა ჯარებმა წარმატებით მოიგერიეს გერმანელთა ცდა — დაებრუნებინათ კარანტანი და წინ წაიწიეს ამ ქალაქის სამხრეთით. წინ წაიწიეს აგრეთვე [illegible] (8 კილომეტრზე კარანტანის ჩრდილოეთით). კაენის და ტილი-სიურ-სელის სექტორებში გაძლიერებული [illegible] და კონტრიერიშები [illegible] წარმატებით მიმდინარეობს. ჯარების გადმოსხმა და სამხედრო ტვირთების გადმოზიდვა სისტემატიურად მიმდინარეობს.

14 ივნისის ნაშუადღევს და საღამოს მოკავშირეთა ავიაციის [illegible] კომუნიკაციებსა და სატრანსპორტო კვანძებზე იერიშებს მიიტანა [illegible] და დახმარებას უწევდა ჩვენს სახმელეთო ჯარებს, [illegible] ტყის [illegible].

ღამით მძიმე ბომბდამშენებმა [illegible] ობიექტებზე, [illegible] [illegible] სარკინიგზო კვანძებზე, [illegible] და თავდაცვით ჯარებზე. არასრული ცნობებით, 14 ივნისის ნაშუადღევს საჰაერო ბრძოლებში მოსპობილია მტრის 24 თვითმფრინავი. მოკავშირეთა 14 თვითმფრინავი თავის ბაზაზე არ დაბრუნებულა.

## ფრანგი პარტიზანები პირინეის მთებში

**ალჟირი**, 15 ივნისი (საქტაგი). საფრანგეთიდან მიღებული ცნობებით, ამას წინათ ბიარიცის რაიონში (ქვემო პირენეის დეპარტამენტი) მოკლეს თავდასხმა [illegible] გრენადერ-მოიერის [illegible], მის მხედრულ [illegible] და შეიარაღებულ [illegible]. ამ ოპერაციაში მონაწილეობას იღებდა ფრანგი პარტიზანების მნიშვნელოვანი რაზმი. შეტაკების დროს დახოცილ იქნა ყველა ჰიტლერელი, გარდა ერთისა, რომელმაც გაქცევა მოახერხა. [illegible] პარტიზანებმა [illegible] წინააღმდეგობის ორგანიზაციის [illegible] სასამართლოს წინაშე და [illegible] განაჩენი მოყვანილია სისრულეში.

## თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის გადადგომა

**ანკარა**, 15 ივნისი (საქტაგი). ანკარის რადიომ ცნობა გაავრცელა, რომ დღეს დილით პრემიერ-მინისტრ სარაჯოღლუს თავმჯდომარეობით შეიკრიბა თურქეთის კაბინეტი. რომელმაც [illegible] ამ [illegible] განმავლობაში საგარეო საქმეთა მინისტრი მენემენჯიოღლუ [illegible], იგი გადადგა. საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შესრულება [illegible] პრემიერ-მინისტრ სარაჯოღლუს.

# საბჭოთა კავშირში

## აღორძინების პროცესშია მადნეულისა და ლითონის ქალაქი

გერმანელ დამპყრობთაგან ქერჩის განთავისუფლების პირველ დღეებიდანვე ქარხნებში დაბრუნდნენ კადრის მუშები და სპეციალისტები.

[illegible] ლითონის ქარხნის, კამიშ-ბურუნის რკინის მადნის კომბინატის, კოქსქიმიური ქარხნის მუშებმა [illegible] [illegible] წითელი არმიის [illegible]. ამუშავებულია [illegible] ელექტროსადგური, შეკეთებულია [illegible] [illegible] და წყალსადენის [illegible], [illegible] სახლები. გაიხსნა ბიბლიოთეკა, საავადმყოფო, სკოლები, [illegible] და [illegible]. [illegible] [illegible] წყალი.

## პირდაპირი სატელეგრაფო მაგისტრალი ლენინგრადი-მოსკოვი

დამთავრდა ლენინგრად-მოსკოვის პირდაპირი სატელეგრაფო მაგისტრალის აღდგენა. ახალ ხაზზე აღდგენილია 4 ათასზე მეტი ტელეგრაფის ბოძი, გაბმულია 1.000-ზე მეტი კილომეტრი მავთული.

სატელეგრაფო მაგისტრალი გადაცემულია საექსპლოატაციოში.

## სამკურნალო ქსელის აღდგენა სმოლენსკის ოლქში

სმოლენსკის ოლქის ქალაქებსა და სოფლებში [illegible] სამკურნალო დაწესებულებათა [illegible] და [illegible], რომლებიც გერმანელებმა დაანგრიეს.

ქალაქ ვიაზმაში ჰიტლერელებმა დაწვეს საავადმყოფოს მშვენიერი შენობა. ახლა აქ [illegible] ახალი საავადმყოფო. [illegible] ამბულატორია, [illegible] და [illegible].

მიმდინარე წელს [illegible] [illegible] უნდა იქნას 30 საავადმყოფო, 8 [illegible] ამბულატორია, 17 ბავშვთა კონსულტაცია, [illegible] ფელდშერ-სამეანო პუნქტი და ამბულატორიები.

[illegible] დაბრუნებული [illegible] [illegible] [illegible].

## მწყობრში ჩადგა ბერეზნიკოვსკის კალიუმის კომბინატის პირველი რიგი

საექსპლოატაციოდ გადაეცა ბერეზნიკოვსკის კალიუმის კომბინატის პირველი რიგი. ამ [illegible] საწარმოს მშენებლობა, რომელიც ომის დღეებში დაიწყო, ჩქარი ტემპებით წარიმართა.

კომბინატმა გამოუშვა პირველი პროდუქცია.

## იშვიათი ოპერაცია

საველე ჰოსპიტალში, რომლის უფროსია სამედიცინო სამსახურის კაპიტანი ქ. [illegible], მოიყვანეს [illegible] [illegible], რომელიც მძიმედ იყო დაჭრილი მკერდში ლითონის ნამსხვრევით. [illegible] [illegible] ნამსხვრევი გულში და [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ბზარზე. [illegible] [illegible], [illegible] რომ [illegible] ლითონის ნამსხვრევი ჰქონდა [illegible] გულის მარჯვენა [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] მეტად მძიმე იყო. [illegible] [illegible] ცის [illegible]. [illegible] [illegible] (გულის [illegible] [illegible] წყლით) [illegible] ქირურგი გ. [illegible] და ქირურგი თ. სიხარულიძე.

გულის [illegible] — [illegible] [illegible] ლითონის ნამსხვრევი, რომელიც [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] [illegible] ამოღებულ [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] [illegible] და კარგად [illegible]. ოპერაციის შემდეგ [illegible] [illegible] [illegible] თავს კარგად გრძნობს.

## ისწავლე რუსული ენა

### ПОДГОТОВКА В СОСТАВЕ ОТДЕЛЕНИЯ БЕЗ ОРУЖИЯ
### მომზადება ათეულის შემადგენლობაში უიარაღოდ

(გაგრძელება)

| | | | |
|---|---|---|---|
| **Колонна по одному** — | რაზმეული ცალ-ცალ | **Сомкнутый** — | მიჯრილი |
| **Колонна по два** — | რაზმეული ორ-ორ | **Размыкание** — | გაჯრა |
| **Левофланговый** — | მარცხენა ფრთისა | **Оглядываться** — | უკუხედვა |
| **Правофланговый** — | მარჯვენა ფრთისა | **Середина** — | შუა |
| **Направляющий** — | მიმმართველი | **Перемена** — | შეცვლა |
| **Головной** — | მეწინავე | **Следовать** — | მიყოლა |
| **Задний** — | უკანა | **Соблюдать** — | დაცვა |
| **Не в ногу** — | ფეხაშლით | **Указанный** — | ნაჩვენები |
| **На ходу** — | სვლის დროს | **Установленный** — | დაწესებული |

ივნისი 16

პარასკევი

1671 — მოსკოვში სიკვდილით დასაჯეს გლეხთა აჯანყების ბელადი სტეფანე რაზინი.

1919 — ამხანაგ ი. ბ. სტალინის დეპეშა ვ. ი. ლენინს კონტრრევოლუციური აჯანყების ლიკვიდაციის შესახებ „კრასნაია გორკას" და „სერაია ლოშადის" ფორტებში.



სტეფანე რაზინი

◆

## რა არის კალენდარი?

წლის განმავლობაში დედამიწა მზის გარშემო სრულ წრეს აკეთებს. მზის წელიწადი შეიცავს 365 დღეღამეს, 5 საათს, 48 წუთს და 46 წამს. [illegible] [illegible] [illegible] [illegible] წელიწადში სრული 365 დღეღამე ჩათვლილი, გადამეტებული ნაწილის [illegible] კი ოთხ წელიწადში ერთხელ [illegible] ერთი დღეღამე, რადგან საერთო [illegible] [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] წელი, რომელიც [illegible] [illegible], ნაკიანი წელიწადი ეწოდება. [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] წელი შედგება 365 დღეღამისაგან.

წელიწადი გაყოფილია 12 თვედ. რადგან 365 თორმეტზე არ იყოფა, ამიტომ ზოგ თვეში 30 დღეა და ზოგში კი 31, თებერვალში კი 28, ხოლო ნაკიან წელიწადში — 29 დღე.

ასეთი კალენდარი შემოღებული იქნა რომში იულიუს კეისრის მიერ, რის გამოც მას იულიანის კალენდარი ეწოდება. იგი ზუსტი არ არის, ვინაიდან წლის საშუალო ხანგრძლივობა 365 დღეღამეა და 6 საათი, მაშინ როდესაც მზის წელიწადი 11 წუთით და 14 წამით ნაკლებია. ეს განსხვავება 128 წლის განმავლობაში ერთ დღეღამეს აღწევს. XVI ს. ბოლოს შეცდომამ უკვე 10 დღეღამეს აღწია. ეს შეცდომა რომ არ განმეორებულიყო, შეცვლილ იქნა ნაკიან წელთა რიცხვი, გადაწყდა 400 წელიწადში სამჯერ ნაკიანი წელი უბრალო წელიწადად გადაკეთებულიყო. [illegible] ის წლები, რომლებიც 00-ით თავდებიან, ნაკიანად ითვლებიან მხოლოდ მაშინ, როდესაც წინა ორი ციფრი ოთხზე უნაშთოდ იყოფა. ასე, მაგალითად, 1600 წელი იყო ნაკიანი, რადგან 16 ოთხზე იყოფა. 1700, 1800 და 1900 წლები იყო უბრალო წლები. რის გამოც ძველი სტილი ახალს სამი დღით ჩამორჩა [illegible] [illegible] [illegible]. ამრიგად ჩვენი დროისათვის 13 დღის განსხვავება დაგროვდა. ახალი სტილი ძველ სტილზე უსწრებს.

# სევასტოპოლის მისადგომებთან

(მესამე ეპიზოდი)

ეს იყო განთიადისას. ნათელი და მზიანი დილა გათენდა. ისეთი მყუდროება იყო, რომ მაღლობელი ტყის შრიალიც კი ისმოდა. ჩიტები უზრუნველად დაფრინავდნენ ცაში, ნავარდობდნენ მზის სხივების წკრიალში.

ამ დროს საბჭოთა ქვეითები გულისცემით ელოდნენ საარტილერიო მომზადების დაწყებას. ორსაათიანი სროლის შემდეგ ქვეითებს იერიშზე უნდა გადაესვლენ და სანგრებიდან ამოეყარათ მაღლობებზე გამაგრებული ფაშისტები.

აი, გაისმა კიდევაც პირველი ქვემეხის ხმა. ეს კაპიტან კიკნაძის ბატარეები მოქმედებენ. ისინი ფრონტის ერთ-ერთ უბანზე ქვეითებს [illegible], უნდა ჩაახშონ მტრის საცეცხლე წერტილები, შეუქმნან მოწინავე რაზმებს და ჩვენს ქვეითებს წინსვლის საშუალება მისცენ.

კაპიტანი კიკნაძე სათვალთვალო პუნქტზეა. ის ყოველი ბატარეის ცეცხლის მსვლელობას თვალყურს ადევნებს. სროლის ხმაზეც კი ხვდება თუ რომელი გუნდი როგორ ისვრის ან როგორი ტემპით მოქმედებს.

დივიზიონის პარტორგი კი [illegible] კაპიტანი ვალერიან კირკიტაძე ერთი ბატარეიდან მეორე ბატარეაზე გადადის, ამხნევებს გუნდებს, ასწავლის მათ შემტევ სულისკვეთებას.

კიკნაძეს სახეზე კმაყოფილება დაეტყო. პირველმა ბატარეამ სროლის ტემპს მოუმატა, მეორე კი მთლად ჩაჩუმდა. ნუთუ მტრის ცეცხლმა ჩაახშო იგი?..

— პირველი ბატარეა მტრის ცეცხლში მოექცა, მოქმედება შეუძლებელია. — გადმოსცეს ტელეფონით.

სამი წუთიც არ იყო გასული რომ კაპიტანი კირკიტაძე ბატარეასთან გაჩნდა.

მართლაც, ბატარეის ახლოს მტრის ჭურვები ეცემოდა. მიწის კორიანტელი ყუმბარით ემართებოდა, გუნდის ნომრებს საშუალება არ ჰქონდათ ყუმბარები მიეზიდათ და [illegible] ცეცხლის [illegible].

— გუნდი ადგილებზე! — გაისმა მაშინვე ბრძანება. მთელი ტანით უშიშრად ამართულმა კაპიტანმა კირკიტაძემ და პირველმა მიირბინა ქვემეხთან.

სროლა გაიხსნა, იქვე მდებარე ყუმბარა [illegible] ლულაში და კვლავ [illegible]. ამ დროს უკვე ყველა ნომერი ადგილზე იყო. ქვემეხი კვლავ ამეტყველდა.

კირკიტაძე ამით არ დაკმაყოფილდა. ყუმბარების მოსატანად გაიქცა. ნახევარი საათის განმავლობაში ეზიდებოდა ყუმბარებს ქვემეხისაკენ. გუნდები [illegible]. ცეცხლის ტემპი ისე გაძლიერდა, რომ დანარჩენ ბატარეებს გადააჭარბეს.

ამ დროს მტრის თვითმფრინავი გამოჩნდა. ჩვენი საცეცხლე პოზიციები გადაიარა და აქა-იქ ბომბები ჩამოყარა. ერთი ბომბი ბატარეის ახლოს დაეცა. ცეცხლი წაეკიდა ყუმბარების ცალკე დალაგებულ ყუთებს, ეს ცეცხლი თანდათან ძლიერდებოდა, მიიწევდა ქვემეხებისაკენ და საომარი მასალისაკენ. საომარ მასალას აფეთქება მოელოდა. [illegible] გამოვიდნენ ბატარეიდან და მებრძოლებიც. აქ დაყოვნება არ შეიძლებოდა.

კირკიტაძემ ნიჩბით ხელში ცეცხლთან მიირბინა და პირველი შეუდგა ცეცხლის ჩაქრობას. ის [illegible] სიმხნევით [illegible] მიწას [illegible] ცეცხლს. მის დანარჩენებმაც წაბაძეს და რამდენიმე წუთის განმავლობაში ცეცხლი ჩაქრობილ იქნა.

მეომრები კვლავ [illegible]. [illegible] ხელდებოდა მტრის წინააღმდეგობა და ორი საათის შემდეგ სათვალთვალო პუნქტიდან კარგად მოჩანდა, თუ როგორ მიიწევდნენ წინ საბჭოთა მებრძოლები და როგორ იღებდნენ ნაბიჯ-ნაბიჯ [illegible].

მზიანი დღე იყო, მაგრამ ფაშისტებისთვის ბნელ სამარესავით გადაიქცა იგი.

**ელიზბარ პოლუმორდვინოვი**

პ/მგ. რედაქტორი ი. ლავრუხინი
პ/მგ. რედაქტორის მოადგილე ვ. დარასელი

გ—35466 /
რედაქციის მისამართი; ПОЛЕВАЯ ПОЧТА 33175-С